# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №22

ქ. თეთრიწყარო 04 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ი.მ. „სვეტლანა ოგანეზოვი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის: ჭიქების, ტკბილეულის ვაზების, თეფშების, დანა-ჩანგლების, კოვზების, ლანგარი (სინი) /39200000-CPV/ და ელ.ჩაიდანის /39700000-CPV/, შესყიდვა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 278 (ორას სამოცდათვრამეტი) ლარს. მათ შორის: 84 ცალი (წვენის, ჩაის) ჭიქის ღირებულება შეადგენს – 115 ლარს, 1 კომპლექტი ლანგარის (სინი) - 30 ლარს, 2 ცალი ტკბილეულის ვაზის – 16 ლარს, 18 ცალი თეფშის – 45 ლარს, 36 ცალი დანა-ჩანგლის – 42 ლარს, 12 ცალი ჩაის კოვზის – 12 ლარს, ხოლო ერთი ცალი ელექტრო ჩაიდანის კი - 18 ლარს.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარდა.

## 3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

**"მიმწოდებელი" ვალდებულია:**
3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხარისხიანი საქონლის მიწოდება.
3.2. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

**"შემსყიდველი" ვალდებულია:**
3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.
5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

## 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი — ალნერი დარბაიძე და ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მზია ადუაშვილი.

10.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 04 მარტიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ .№34
ს/კ: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა

ბ/კოდი TRESGE22

"მიმწოდებელი".

ინდ. მეწარმე "სვეტლანა ოგანეზოვი "
ქ. თეთრიწყარო, შ. რუსთაველის ქ. №2, ბ.13
ს/კ 22001003894
ა/ა GE32LB0112113113694000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22 (220101428)

## 14. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ* წიკლაური

მუნიციპალიტეტის გამგებელი

სვეტლანა ოგანეზოვი

ინდივიდუალური მეწარმე